



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს მეგობარი ქვეყნის პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის და მისი მეუღლის ტრაგიკულად დაღუპვის გამო და დიდ თანაგრძნობას უცხადებს ავიაკატასტროფაში დაღუპული დელეგაციის წევრთა ოჯახებსა და ახლობლებს.

დევნილი უნივერსიტეტი არასოდეს დაივიწყებს გმირულ თანადგომას, რომელიც პოლონეთის

პრეზიდენტმა გამოუცხადა ქართველ ხალხს რუსული აგრესიის ყველაზე მწვავე პერიოდში.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა განსაკუთრებულად მტკივნეულად განიცადეს მოძმე პოლონეთის ხალხის ტრტაგიკული დანაკარგი იმ თბილი და საქმიანი ურთიერთობის გათვალისწინებით, რომელიც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა უნივერსიტეტსა და პოლონეთის საელჩოსთან, ქვეყნის საუნივერსიტეტო წრეებთან და შემოქმედებით ინტელიგენციასთან.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ უნივერსიტეტის სახელით პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის და მისი მეუღლის ხსოვნას პატივი მიაგო და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში სამძიმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთა.